



**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია**



წერილის ნომერი: **30-302118857**  
თარიღი: **07/07/2021**  
პინი: **0098**

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გადაამოწმეთ: [document.municipal.gov.ge](http://document.municipal.gov.ge)

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**  
**თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 115-ე მუხლის პირველი ქვეპუნქტის, 119-ე მუხლის მე-10 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის N669 დადგენილების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტისა და 38-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგინებ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით განმარტებით ბარათს.

**1. პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი**

მოგახსენებთ რომ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებულმა აუქციონატორმა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის უძრავ ქონებაზე, კერძოდ (ს/კ 27.04.51.692); (ს/კ 27.02.41.366); (ს/კ 27.02.41.163); (ს/კ 27.02.41.367); (ს/კ 27.02.42.154) ორჯერ უზრუნველყო ელექტრონული აუქციონის მოწყობა - როგორც საწყისი საპრივატიზებო საფასურით, ასევე განმეორებითი 30%-ის შემცირებით, მაგრამ მიუხედავად ამისა მისი პრივატიზება არ განხორციელდა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მოსაზრებაა, რომ ზემოაღნიშნულ მოძრავ ქონებაზე ისევ გამოცხადდეს განმეორებითი ელექტრონული აუქციონი, რომლის საფუძველზეც მომზადდა წარმოდგენილი პროექტი, სადაც ზემოაღნიშნული უძრავი ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასური 55%-ით შემცირდა.

„მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის N669 დადგენილების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ვინაიდან საკრებულოს უფლებამოსილებას მიეკუთვნება 50%-ს ქვემოთ ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრა, გთხოვთ განიხილოთ

წარმოდგენილი პროექტი და მიიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება.

## 2. პროექტის ფინანსური დასაბუთება

ა) პროექტის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

## 3. პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი

პროექტი მომზადებულია მერიის იურიდიული სამსახურის მიერ. პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ომარ ჯანაძის კანდიდატურას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

## 4. პროექტის წარმდგენი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი.

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის  
მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2021 წლის ივლისი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 115-ე მუხლის პირველი ქვეპუნქტის, 119-ე მუხლის მე-10 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის N669 დადგენილების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტისა და 38-ე მუხლის შესაბამისად,

**მუხლი 1.** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზებო საფასური შემცირდეს 55% -ით და განისაზღვროს დანართის შესაბამისად.

**მუხლი 2.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

**მუხლი 3.** განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ბესიკ ტაბიძე

განმეორებით ელექტრონულ აუქციონზე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრა და ამ საფასურიდან "ბიჯის" განსაზღვრა							
N რიგზე	მისამართი	დასახელება	საკადასტრო კოდი	საწყისი საპრივატიზებო საფასური	შემცირებული საწყისი საპრივატიზებო საფასური	ბიჯის სიდიდე %(ლარი)	აუქციონის სახე
1	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი სოფელი ჩოლოზბარგი	არსასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	27.04.51.692	13390	45% - 6 025,50	10%-603	ელექტრონული
2	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი სოფელი აცანა	არსასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	27.02.41.366	34200	45% - 15 390	10% - 1 539	ელექტრონული
3	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი სოფელი აცანა	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა ნაგებობა	27.02.41.163	91 482	45% - 41 166.9	10% - 4 117	განმეორებითი ელექტრონული
4	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი სოფელი აცანა	არსასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	27.02.41.367	12 800	45% - 5 760	10% - 576	განმეორებითი ელექტრონული
5	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი სოფელი აცანა	არსასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	27.02.42.154	13 560	45% - 6 102	10%-611	განმეორებითი ელექტრონული